სამუშაოს ლოზუნგი, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოლიმპი

1990
ხუთშაბათი
4
ოქტომბერი
№119 (10356)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი. ... 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგთა უფლებებს დაცვისათვის

ამას წინათ დედაქალაქში, რესპუბლიკის პროფესიული კავშირების სახახლეში, შედგა სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების დელეგატები, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებამ მოისმინა სსპსდ კავშირის საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის გოჩა გურგენიძის მოხსენება. კამათი მოხსენების გარშემო პრინციპულად, კრიტიკისა და დემოკრატიზაციის ვითარებაში წარიმართა.

მოხსენებასა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებში აღნიშნულია, რომ ბოლო ხანებში სტიქიურად წარმართულმა საპროტესტო გამოსვლებმა პედაგოგიური საზოგადოება გამორიცხა აქტიური ბრძოლის ასპარეზიდან. კალაპოტიდან ამოვარდნილი სკოლა უამართავ-აღმოჩნდა, დაირღვა ორგანიზებული სწავლების რიტმი, დაიწყო განუკითხაობა, გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა, სკოლაში მოსწავლეთა უწიგნოდ, უჩანთოდ, უფორმოდ გამოცხადება, შემეცნებითი და აკადემიური დონის დაქვეითება, მასწავლებლისადმი რიდისა და მოკრძალების უგულვებელყოფა, უფროს-უმცროსობის ტრადიციების უკუგდება. სკოლაში შექრილი დემოკრატია ზოგჯერ განუკითხაობასა და ანარქიაში, ხოლო პიროვნების თავისუფლება უდისციპლინობაში გადაიზარდა, რამაც სკოლას ზნეობრივი ფუნქცია დაუკარგა. ზოგიერთმა დირექტორმა მართვის სადავეები ვერ დაიჭირა და სკოლა თვითნებობაზე მიუშვა. შექმნილმა სიტუაციამ დღის წესრიგში დააყენა საზოგადოებრივობის პრინციპული ბრძოლა მასწავლებლის ეკონომიური, პოლიტიკური, იურიდიული უფლებების დაცვისა და პროფესიული ღირსების აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

კრების მსვლელობამ ნათლად გამოავლინა საინიციატივო ჯგუფის პრინციპული შემართება და მებრძოლი სულისკვეთება პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების უზრუნველყოფად. მიუხედავად ცალკეული ელემენტების ანტაგონისტური განწყობის გამოვლინებისა, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სოლიდარობა გამოუცხადა კავშირის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობას.

დამფუძნებელმა კრებამ ერთხმულად მიიღო დადგენილება სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი კავშირის დაარსების შესახებ. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი გოჩა გურგენიძე. კრებამ რეგიონების წარმომადგენელთაგან აირჩია კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭო და სარეფერენდუმო კომისია.

ამჟამად სახალხო განათლების სისტემის ადგილობრივი ორგანოების ამოცანაა, გულდასმით გააცნონ პედაგოგებს, სისტემის ყველა მუშაკს სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის პროგრამა და წესდება, შექმნან დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფები და კანონიერ აქტიური საქმიანობა სსპსდ კავშირის პირველადი ორგანიზაციების, საქალაქო და რაიონული საკოორდინაციო საბჭოების შესაქმნელად.

დაჟით აბასაძე,
ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სსპსდ კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

სეზონი დამთავრდა, გილოცავთ!

რაიონის ხაზოგადოებრივ მეურნეობებში დამთავრდა ჩაის სეზონი.

მწვანე პლანტაციის ოსტატებმა გეგმიური 62500 ტონის ნაცვლად მრეწველობას მიაყიდეს 70401 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც დაკალების 112,6 პროცენტს შეადგენს.

გილოცავთ!

ინფორმაცია

ქ. ზუგდიდის № 91 რუსთაველის საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებულია — ბებეული კონსტანტინეს ძე ბოკუჩავა, დაბადებული 1927 წელს, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ეკონომისტ-ფინანსისტი, პენსიონერი, ცოლშვილიანი, მცხოვრები ქ. ზუგდიდი, გეგეჭკორის ქუჩა № 18-ში.

საოლქო საარჩევნო კომისია.

სოფელს პროგლემებს რა გამოულევს

უკვე მეორე წელია კოლმეურნეობის ყველა რგოლი სანარდო სისტემით მუშაობს და შედეგიც ხელშესახებია. გადაუარბებით შესრულდა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დაკალება. ასევე სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ძალდადებული 9 თვის გეგმა-დაკალებები. საფუძველი ეყრება მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნას. დღეისათვის დამზადებულია 150 ტონა სენაჟი, 180 ტონა სილოსი. აგროტექნიკურ ვადებში 4 ჰექტარზე ქითესა ტურნეფსი. კარგი პირუტყვის სამარცვლე სიმინდისა და სოიოს ნათესებს, რომელთა უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავებისათვის ოროულად დავიპრეფთდარიგი.

მაგრამ მუშაობაში გვაქვს მთელი რიგი ხელშემშლელი პირობები, რომელთა შესახებაც არაერთხელ გვითქვამს. მაგრამ მდგომარეობა მაინც არ სწორდება.

ჭითაწყარის კოლმეურნეობა ისედაც მცირე მიწიანია და მას ყოველწლიურად აკლდება სახნავ-სათესი ფართობი. მარტო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქალაქის განვითარების პერსპექტივაში მოჰყვა 20 ჰექტარი მიწის ფართობი. ამჟამად კოლმეურნეობის განკარგულებაში არის ათი ჰექტარი სახნავი მიწა, რომლის მეცხოველეობისათვის გამოყენების საშუალებას სოფლის მოსახლეობა არ გვაძლევს.

230 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 სულზე მეტი ღორი ძირითადში დამოკიდებულია ორულუსა და ცაიშის ჭვედრის უბანში დროებით სარგებლობაში გამოყოფილი სახნავი ფართობებიდან მოყვანილ მწვანე საკვებზე. საწვავის ასეთი დეფიციტის დროს ამ საშორიდან ჩამოტანილი საკვების შემდეგ მეცხოველეობის რენტაბელობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ცაიშის ჭვედრის უბანში ჩვენს კოლმეურნეობას 50 ჰექტარი ფართობი აქვს. გვინდა ამ ფართობზე დათესოთ შუალედური კულტურები და მრავალწლიანი ბალახები. მაგრამ მოსახლეობა ამის უფლებას არ იძლევა. სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ ამ ფართობზე პირუტყვის შეშვებით გვემუქრებიან. თუ ეს პრობლემა დადებითად არ გადაწყდა, კოლმეურნეობას გაუჭირდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონის შენარჩუნება.

ო. ცაავა.
ჭითაწყარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ღლის ნესრიგშია: მეცხოველეობის შემდგომი ამაღლება

სულ რამდენიმე დღე და შეკაჯამებთ ცხრა თვის შედეგებს. მეჩაიეებმა 2930 ტონის ნაცვლად მრეწველობას მიაყიდეს 3200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წარმოებულია 4.360 ათასი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გეგმიური 3947 ათასი მანეთისა.

მიმდინარე მომენტისათვის ნომერ პირველი ამოცანაა ერთწლიანი კულტურების, სიმინდის მარცვლის უდანაკარგოდ აღება.

კბილთის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. უნდა ვაწარმოოთ 989 ტონა მარცვალი. მოსავლის უდანაკარგოდ აღება ითვალისწინებს შრომის ორგანიზაციის მაღალ დონეს, საწვავის დეფიციტის მოხსნას.

სახელმწიფოსათვის გაცვლითი მიზნით ჩასაბარებელია 400 ტონა სიმინდის მარცვალი, რაც ზამთარში საქონლის კომბინატებული საკვებით უზრუნველყოფის გარანტია იქნება.

29 ჰექტარზე დათესილი ტურნეფსიდან მოველით 250 ტონას. რაფსი გვითესია 10 ჰექტარზე. დავამზადეთ 1000 ტონა სილოსი. დამზადდება 150 ტონა თივა, 900 ტონა ჩალა.

გვაქვს საპრობლემო საკითხები. დღემდე ფერმა მდებარეობს ჭარბი დასახლების ადგილას, ამიტომ გადავწყვიტეთ მიხა გადატანა შესაფერის ტერიტორიაზე. მშენებლობა მიმდინარეობს ჩქარი ტემპით, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ფერმის მუშაკები ახალი წლიდან იშრომებენ კეთილმოწყობილ ახალ კომპლექსში.

ვ. გაბუნია,
პარტიული კომიტეტის მდივანი.

სჭირდება რეაგირება

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორებზე ზრუნვა დისონანსად ამოცანად ნარაზენის კოლმეურნეობის მშრომელებმა. დღეს მთავარია მოწეული ჭირნახული დაბინავება, დანაკარგების თავიდან აცილება, მეცხოველეობისადვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

კოლმეურნეობის ბაზაზეობის მსკელობის საგანი გახდა მოსავლის აღება-დაბინავების საკითხი. შემოწმებამ ცხადყო, რომ ტექნიკა ამზადყოფნაშია. დღეს მდგომარეობით ჩაგებულია 2000 ტონა სილოსი, 300 ტონა სენაჟი. აღებული და დაბინავებულია 100 ტონა თივა და მისი დამზადება გრძელდება. პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების მიზნით 15 ჰექტარზე დათესილი ტურნეფსი, მრავალწლიან ბალახებს დაეთმობა საკმაო ფართობი.

როგორც ციფრებიდან ჩანს, საქმე ურიგოდ როდია კოლმეურნეობაში, მაგრამ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია რიგი საკითხებისა. მწარმოებელი შორსაა მიღებული პროდუქციისაგან, მეცხოველეობისათვის დათმობილი 200 ჰექტარამდე მიწა, მაშინ როდესაც ის არავითარ მოგებას არ აძლევს კოლმეურნეობას, ამასთან სათოხნი, მიწის დეფიციტია სოფელში.

ამ და სხვა საკითხებს დროული რეაგირება სჭირდება.

ქ. ბიბვაია,
ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში

ასეთი დამოკიდებულება სახიფათოა

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მორიგ სხდომაზე განიხილეს საკითხი:— ქალაქ ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზარში სარეალიზაციოდ გამოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატებისა და პესტიციდების ნარჩენების დაჯეოვებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ.

საკოლმეურნეო ბაზრის (დირექტორი შ. აბაკელია) და ვეტერინალური სადგურის (უფროსი ლ. ბუკია) ხელმძღვანელთა მხრიდან გარკვეული ღონისძიებები ტარდება,—აღინიშნა სხდომაზე,—საკოლმეურნეო ბაზარში სარეალიზაციოდ გამოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვარგისიანობის დადგენის, ნიტრატებისა და პესტიციდების ნორმის ზემოთ შემცველი პროდუქტების რეალიზაციის აღსაკვეთად. მიუხედავად გაწეული მუშაობისა მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა.

როგორც შემოწმებით დადგინდა, რიგ შემთხვევებში საკოლმეურნეო ბაზარში ადგილი აქვს ნიტრატებიანი და კვებისათვის უვარგისი პროდუქტების რეალიზაციის ფაქტებს. საკოლმეურნეო ბაზრის ხელმძღვანელობის, ქალაქის ვეტერინალური სადგურის „ვენსანექსპერტიზის“ ლაბორატორიის, აგრეთვე, დახმარების მიზნით საკოლმეურნეო ბაზარში მოწვეული „სოფლქიმიის“ ლაბორატორიის თანამშრომლებისა და ბაზრის კონტროლის დარგის მუშაკების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების შედეგად, სრულყოფილად არ ხდება პროდუქტების შემოწმება, ხშირ შემთხვევაში ნიტრატების წემცველობაზე ანალიზური გამოკვლევები ზერელეა. არარეალურია, აგრეთვე, ლაბორატორიული დასკვნები.

საკოლმეურნეო ბაზარში ადგილი ჰქონდა შემოწმებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციას. მიმდინარე წლის 10—16 აგვისტოს ე. ი. 6 დღის განმავლობაში ლაბორატორიის მიერ მოქალაქეებზე გაცემული იყო მთლიანად 174 სერთიფიკატი, მაშინ როდესაც შემოწმებისას ერთ დღეს მოქალაქეებზე გაცემულ იქნა 141 სერთიფიკატი. ლაბორატორიაში აღმოჩნდა, აგრეთვე, წინასწარ დანომრილი, ბეჭედდასმული და ლაბორატორიის გამგის მიერ ხელმოწერილი 19 სერთიფიკატი, რაც არ გამორიცხავს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ სერთიფიკატების გაცემას შეუმოწმებელ პროდუქტებზე.

ბაზარში არსებული „ვენსანექსპერტიზის“ ლაბორატორიის (გამგე ლ. ჯღამაძე) საქმიანობა ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით. არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი თანამშრომლების საქმიანობაზე. ისინი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის აღკვეთის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიას გააჩნია სათანადო სათავსო, სრულად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებებს. ლაბორატორია კეთილმოუწყობელია. არ გააჩნიათ საკმარისი რაოდენობით საანალიზო ხელსაწყოები და რეაქტივები.

შემოწმებით დადგინდა, რომ 33 მოქალაქეზე გაცემული იყო ყველისა და მაწვნის რეალიზაციის ნებართვა-ეთიკეტი. ფაქტიურად კი იგი 7 მოქალაქეს აღმოაჩნდა, ხოლო 37 მოქალაქეს არ ჰქონდა პროდუქციის ვარგისიანობის შემოწმების ცნობა და ნებართვა. „ვენსანექსპერტიზის“ ლაბორატორიაში ხშირად ირღვევა მოქალაქეებზე პროდუქციის ვარგისიანობის დამადასტურებელი ნებართვის გაცემისა და აღრიცხვის წესები. ერთ-ერთ მოქალაქეს სარეალიზაციოდ გამოტანილი 9 დაკლული ქათმიდან უვარგისი აღმოაჩნდა 1 ცალი, რომელსაც სხვა დანარჩენებთან ერთად გააჩნდა ვარგისიანობის დამადასტურებელი დამღა. ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ლაბორატორიის ექიმის ე. ჯალადონიას და ლაბორანტ ე. კობახიძის მხრიდან საბსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე. ყოველგვარ ინფორმაციასაა მოკლებული ბაზარში მოსული მოქალაქე, ვინაიდან არ არის გამაფრთხილებელი ნიშნები, არ წარმოგებს პროფილაქტიკური ხასიათის რაღიოგადაცემები.

ბაზრის ადმინისტრაცია სათანადოდ არ ებრძვის გადამყიდველებს. შემოწმების დროს დაბურულ პავილიონში გადამყიდველებისაგან ამოღებულ იქნა დიდი რაოდენობით დეფიციტური სამამულო და იმპორტული წარმოების შოკოლადი, ხიზილალა, მაიონეზი, „ეელატინი“, ბავშვის საკვები „სიმილაკი“ და სხვა პროდუქტები, რომლებსაც შენახვის ვადები და შენახვის განსაკუთრებული პირობები აქვს, რაც დარღვეული იყო.

დაკვემდებარებული საშსახურების საქმიანობაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობისათვის, რის შედეგადაც საკოლმეურნეო ბაზარში ადგილი აქვს საკვებად უვარგისი და ნიტრატებიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციისა და სპეკულაციის ფაქტებს, სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორს შ. აბაკელიას გამოუცხადა საყვედური.

საკოლმეურნეო ბაზარში სარეალიზაციოდ გამოტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ანალიზური გამოკვლევის ღირებულ დარღვევებისათვის „ვენსანექსპერტიზის“ ლაბორატორიის გამგეს ლ. ჯღამაძეს და ქალაქის ვეტერინალური სადგურის უფროსს ლ. ბუკიას მომთხოვნელობის შესუსტებისათვის მიეცათ შენიშვნა.

სამსახურებრივი მოვალეობისადმი ზერელე დამოკიდებულებისა და დაშვებული დარღვევებისათვის „ვენსანექსპერტიზის“ ლაბორატორიის ექიმის ე. ჯალადონიასა და ლაბორანტის ე. კობახიძის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა ქალაქის ვეტერინალური სადგურის ხელმძღვანელობას.

„სოფლქიმიის“ გაერთიანების თავმჯდომარეს ო. ჭანიას ეთხოვა, მიიღოს ზომები, რათა მასზე დაქვემდებარებული „სოფლქიმიის“ ლაბორატორიამ უზრუნველყოს საკოლმეურნეო ბაზარში შემოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყოველდღიური ანალიზი საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტისა და ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანების ბრძანებების მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო ზემოთ აღნიშნული დარღვევებისათვის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიმართ მიიღოს სათანადო ზომები.

შეხვედრა ვეტერანებთან

27 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტში მოეწყო შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ესარდაიამ.

ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, არსებულ სიძნელეებზე და საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობაზე დაწვრილებით შეჩერდა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბუნავა.

შეხვედრაზე საქმიანი შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ ვეტერანები: ბ. შენგელია, შ. ლემონჯავა, შ. ხვიტია, ვ. ბურალია, ი. ნაბუებია, ტ. სამუშია, უ. სიმინავა, ა. დარასელია, ო. ჯგვიშია და სხვები.

სიტყვით გამოსულებმა კატეგორიულად მოითხოვეს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის, გაზის ტრესტის, საქალაქო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობის გაუმჯობესება. დაწესდეს მკაცრი კონტროლი ომის მონაწილეთათვის სახელმწიფო სესხის გაცემის საქმეში, გაუმჯობესდეს მათი სამედიცინო მომსახურება.

ვეტერანთა შეხვედრას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სარევიზიო კომისიის გავმჯდომარის მოადგილე შ. მახარაძე.

ოჯახი ხომ დიდია...

სითბო და გულმოწყალება სუფევს სახლში, სადაც საცხოვრებლად მიიწვიეს მარტოხელა პენსიონერები, შრომისა და ომის ვეტერანები. მდინარე წყალწითელას ხეობაში საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ აშენებულ ოთხსართულიან სახლში არის ერთი და ორადგილიანი კეთილმოწყობილი ოთახები, ვრცელი ადა ნათელი სასადილო, კანოლარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, შრომითი თერაპიის სახელოსნო, სახლი გათვალისწინებულია ორასი მცხოვრებისათვის.

—ხანდაზმულთა ეს სახლი თავისი შინაარსითა და ფუნქციით არსებითად განსხვავდება მსგავსი ტიპის დაწესებულებებისგან — ოქვა სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ვილი კაპარავამ,—სტაციონალურის პარალელურად აქ იქნება განყოფილება, სადაც მიიღებენ მოხუც ადამიანებს გარკვეული ვადით. მოხუცებს და ინვალიდებს, რომელთა ნათესავები ან ახლობლები სამსახურის, ან სხვა რაიმე მიზეზების გამო რამდენიმე ხნით უნდა გაემგზავრონ ქალაქიდან, აქ შეუძლიათ იცხოვრონ დროებით. ისინი გარემოსილი იქნებიან ზრუნვით. ხოლო პენსიონერებს და ინვალიდებს, რომლებიც მუდმივად იცხოვრებენ პანსიონატში, შეუძლიათ იმუშაონ ჩვენს დამხმარე მეურნეობაში და სახელოსნოში. პერსპექტივაში დასახულია, რომ ეს პანსიონატი გადაიქცეს დასავლეთ საქართველოს ზონაში მარტოხელებისა და ინვალიდების მომსახურების ცენტრად.

(საქინფორმი)

იქნებ მომგებიანი იყოს ეს გზა

საკითხი ეხება ზამთრის პერიოდში პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას. იგი გაძნელდა იმიტომ, რომ ახალსოფელში მიწების დიდი ნაწილი დაეთმო მრავალწლიანი კულტურების გაშენებას. კოლხეთის დაბლობზე ათვისებულ ფართობებიდან ვიღებდით სასილოსე მასას, სოიოს, ჩალას, საფურაკე სიმინდს, მაგრამ დიდინეძელებმა გაარღვიეს ღარები და ნათესები საქონელმა გაანადგურა. მოსავალს რომ თავი დავანებოთ, ზარალზე პასუხისმგებელი არავინ არაა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვიმარაგეთ საკმაო საკვები მეცხოველეობისათვის, მაგრამ, დრო წამოჭრა საკითხი:

ზუგდიდის წისქვილკომბინატის ანარჩენი იგზავნება გორში კომბინირებული საკვების შესაზადებლად, სანაცვლოდ კი არაფერს იძლევიან. რატომ არ შეიძლება ეს ანარჩენი მივცეთ საკვებწარმოების იმ კოოპერატივს, რომელიც ზუგდიდის წისქვილკომბინატთან არსებობს?

დღეის მდგომარეობით ამ კოოპერატივიდან მოტანილი საკვებით ვინახავთ საქონელს.

იქნებ მომგებიანი იყოს ჩვენი არჩევანი.

მ. ჯოჯუა,
ბრიგადირი.

ДАЕЧАФЕБИАН ЦОДНИС ЧУАРОС

ГУЛИС ФАНЦХАЛИТ

ДАЕЧАФЕБИАН ЦОДНИС ЧУАРОС

ГУЛИС ФАНЦХАЛИТ

ДАЕЧАФЕБИАН ЦОДНИС ЧУАРОС

ГУЛИС ФАНЦХАЛИТ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანი: სოფლის ეკონომიკის რადიკალიზაცია

მუშაობელმა იგრძნო რეფორმების სიკეთე

აშუამად, როცა გაბედულად ინერგება მეურნეობრიობის ახალი პროგრესული ფორმები და მეთოდები, სამეურნეო ანგარიში და ბრიგადული იჯარა, უნდა გამოირიცხოს ყველა დონეზე საშემსრულებლო დისციპლინის, სახელშეკრულებო ვალდებულებების მცირედი დარღვევაც. ასეთ პირობებში განსაკუთრებით იზრდება ნებისმიერი რგოლის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა და სიახლის გრძნობა.

რა მდგომარეობაა ამუამად ოქტომბერში. როგორი მაჩვენებლებით მოვიდა სოფელი წინასაშემოდგომო საზრუნავთან? ამ და სხვა კითხვებზე პასუხი კოლმეურნეობის თავმჯდომარის კ. სვირავასაგან გავიგეთ:

— პირველ რიგში. კმაყოფილებით უნდა ავღნიშნო მეჩაიეების თავდადებული შრომა. შეკმნილი სიძნელეების უონზე მათ შეძლეს გეგმიური 1460 ტონა ჩაის ნედლეულის ნაცვლად 1760 ტონის აღება. ამ მოცულობაში მოიჯარე მექანიზატორების მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი 800 ტონას შეადგენს. ეკონომიკური ეფექტი მოგვცა საიჯარო ხელშეკრულებაში ჩადებულმა პირობამ: ზეგეგმიურ პროდუქციაზე მუშა-კაცს მიეღო დამატებითი გასამრჯელო:

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს № 3, № 5, № 6, № 8 — საარენდო ბრიგადებმა, რომელთაც უნარიანად უძღვებიან გ. კვარაცხელია, ბ. ყურუა, ბ. ქირია და გ. სარჩიმელია.

ტრადიციულად სოფელში მყარ დონეზეა აბრეშუმის პარკის წარმოება. სახელმწიფოს ჩაბარდა 1600 კილოგრამი პარკი. ამ საქმეს ძველებური შემართებით ემსახურებიან: ე. შამუგია, მ. ყვანია, ნ. შამუგია, ქ. დიდიშვილი და სხვები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მეაბრეშუმეობას მნიშვნელოვნად წასწევს წინ პარკის შესახყიდი ახალი ფასები, რომელიც მოსალოდნელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.

ყოველხაირად შეეცადეთ საგანგებო მობილიზებულობისათვის მიგვეღწია მეცხოველეობისათვის ადგილობრივი იაფფასიანი საკვები მარაგის შესაქმნელად. საკვები კულტურების ფართობების სტაბილურობისა და მოსავლიანობის შესანარჩუნებლად გეზი ავიღეთ დაბალ მოსავლიანი ჩაის პლანტაციების ამოძირკვაზე, მასთან ერთად უარი ვთქვით ჩაის დამატებით გაშენებაზე, რადგან ეს სახნავის შემცირების ხარჯზე ხდებოდა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა არენდული პრინციპით მომუშავე საკვებმომპოვებელთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აგრონომი უბილავა. ტურნეფსის, სენაჟის, სილოსის, თივის, შრავალწლიანი ბალახის მწვანე მასის და სხვა კულტურების წარმოება დასტიმულირებულ იქნა რეალური ეკონომიკური ბერკეტებით. დღეისათვის ჩადებულია 700-მდე ტონა სილოსი, 100 ტონა თივა, 120 ტონა სენაჟი და ა. შ.

აღნიშნულ სამუშაოებში იკვეთება: ი. ჩანგელიას, უშანგი და მურადი ქირიების, ს. შამუგიას, პ. გრიგოლავას და სხვათა საზრიანი მუშაობა.

მონდომებით იმუშავეს სიმინდის წარმოების დარგში დასაქმებულმა ადამიანებმა. დამუშავებულ იქნა რეალური ეკონომიკური ბერკეტებით. დღეისათვის ჩადებულია 700-მდე ტონა სილოსი, 100 ტონა თივა, 120 ტონა სენაჟი და ა. შ.

აღნიშნულ სამუშაოებში იკვეთებ: ი. ჩანგელიას, უშანგი და მურადი ქირიების, ს. შამუგიას, პ. გრიგოლავას და სხვათა საზრიანი მუშაობა.

მონდომებით იმუშავეს სიმინდის წარმოების დარგში დასაქმებულმა ადამიანებმა. დამუშავებულ იქნა რეალური ეკონომიკური ბერკეტებით. დღეისათვის ჩადებულია 700-მდე ტონა სილოსი, 100 ტონა თივა, 120 ტონა სენაჟი და ა. შ.

აღნიშნულ სამუშაოებში იკვეთებ: ი. ჩანგელიას, უშანგი და მურადი ქირიების, ს. შამუგიას, პ. გრიგოლავას და სხვათა საზრიანი მუშაობა.

კოლმეურნეობაში მოქმედი ნებაყოფლობითი მმართველობითი რგოლების ყურადღების ცენტრშია პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების მიმდინარეობა. მოვისმინეთ პასუხისმგებელი ამბანაგების ინფორმაციები, განისაზღვრა ქმედითი ღონისძიებები. სათანადო დონეზე უნდა იქნას აყვანილი სანაშენე მუშაობა, ზოოტექნიკური და ვეტერინალური სამსახურების ფუნქციონირება. დაისახა ქმედითი ზომები კარგ გზაზე მდგარი მეღორეობის შემდგომი განვითარებისათვის, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დარგში არენდული სისტემის შემოღებამ (არენდატორი გ. შამუგია).

მართალია, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ ზარალი მაინც ვერ ავიცდინეთ. ამას თავისი მიზეზიც აქვს. ყველა მატერიალური ფასეულობანი, რომლებსაც სახელმწიფოდან შევისყიდით, საგრძნობლად მაღალია, ვინემ წინა წლებში. ამიტომ ზარალის თავიდან აცილების რეალურ გზას ვეძებავთ პროდუქციის შესყიდვის ფასების ამაღლებაში.

ჩვენი სოფლის მკვიდრმა იგრძნო, რომ რადიკალური რეფორმები მას სიკეთეს მოუტანს. ახლა ყველამ უნდა ვეცადოთ მხარი ავუბათ გარდაქმნის პროცესებს.

თავი გამოიჩინა

კოოპერატიულ საწარმო-ზუგდიდის სარემონტო მექანიკურ კომბინატში მოწინავე ადამიანთა შორისაა ახალგაზდა მუშა დათო თოდუა. იგი შრომის ჟინით მოვიდა საწარმოში და თავისი სერიოზულობით და შრომისმოყვარეობით მალე მიიქცია ირგვლივ მყოფთა ყურადღება ელექტროდის საამქრო, სადაც დათოს უხდება საქმიანობა, სრულიად ახალია. იგი რთული სპეციფიკით ხასიათდება. ამ პროდუქციას რესპუბლიკაში ჯერჯერობით არავინ არ უშვებს. მართალია, სადღეისოდ საამქროს არა აქვს მყარი ეკონომიკური მაჩვენებლები, მაგრამ იმედია, დროებით სიძნელეებს გადალახავენ და მუშაობა სრული ფრონტით გაიშლება. ამის საწინდარია თვით დ. თოდუას და მის გვერდით მოფუსფუსე ხელმადლიანი ახალგაზრდების: ა. ჯალაღონიას, გ. ხარჩილავას, თ. გიხარიას და სხვათა მონდომება.

ა. დაგარგულია,
კომბინატის პროფკომიტეტის
თავმჯდომარე.

აკაკი წერეთელი — 150

გზა ისევ ჯვარისკენ მიდის

იაკობმა მასპინძლებს განუმარტა თუ რას ნიშნავდა პოეტის მიერ შენიღბულად ნათქვამი ზამთარი, გაზაფხული, წინ წყალი, უკან მეწყერი, მერცხალი მახარობელი, ქვეყნის მაჯის გახსნა, იაკობმა ქრისტიანი ხალხების მომავალი გამარჯვებები ისურვა ქართველთა გამარჯვებებთან. ერთად, ილორის წმინდა გიორგი და წალენჯიხის ეკლესია შეაქო ნიკიფორე ირბახის მოხატულიაო წალენჯიხისა და კორცხელის ეკლესიები, მერმე „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობასა და მის მუშაობას შეეხო. უფრო მეტი სინათლე და სიმხნევე სჭირდებაო ქართველ ხალხს მიზნის მისაღწევად, თქვა და სიტყვა ასე დაასრულა:

„როგორც წმინდა გიორგი გმირავს ურჩხულს, ისე გაეგმიროსო ქართველობას მის წინაშე შემართული ყველა ურჩხული!“

ხალხი იაკობის სიტყვასაც ტაშით შეხვდა.

თამადამ მორიგი სასმისი შეავსო და ყურადღებით ყოფნა თხოვა მასპინძლებს, სტუმრებს, რა თქმა უნდა არ შეჰკადრებდა გაფრთხილებას.

— ჯანსუღ დადეშქელიანსა ღ მის ჯალაბს გაუმარჯოს, ამ ოჯახმა შეგვიყარა დღეს აქ თავი —თქვა.

— ჯერ სტუმრები ვადღეგრძელოთ, სტუმრები! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— კი, ბატონებო, სტუმრები საღღეგრძელებელია, მაგრამ ჯერ ის ოჯახი დავლოცოთ, ვინც სტუმრები დაგვიპატიჟა და ეგრერიგი სუფრა გაუშალა, რომ არ დასახლეშელ ფუნენ ჯვარზენში ჯანსუღი და ანეტა, ნამდვილად ვერ ვეღირსებოდით ასეთი ძვირფასი სტუმრების გვერდით ჯდომას! — ახლა ასე თქვა თამადამ და სუფრაც გაჩუმდა.

— საქართველოს ძლიერება დიდად იყო დამოკიდებული მის შვილთა სიმრავლეზე, — განაგრძო თამადამ, — თუ არ გავმრავლდით, თუ წინ არ წავედით, მტერი ადვილად მოგვერევა, ჯანსუღმა და ანეტამ ოჯახი, რომ შექმნეს — ეს მტრის თვალში ნაცრის ჩაყრაა, ჯანსუღმა და ანეტამ ორი ბოკვერი შესძინეს მამულს, ეს მტრის წელში მოღუნვაა, მოდით გუსურვოთ ამ დიდებულ ოჯახს კიდევ გაჩრავლება, კიდევ წინ წაწევა მტრის გულის გასახეთქად.

საღღეგრძელო მოწონებულ იქნა, ჯერ აკაკიმ წარმოსთქვა მათი საღღეგრძელო, მერმე აკაკის ამხანაგებმა.

სტუმარ-მასპინძლის ყურადღება მიიპყრეს ჯანსუღის სამსახურის ამხანაგებმა, რომელთა შორის იყვნენ ზუგდიდის მაზრის უფროსი, დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, ქუთაისის მაზრის წარჩინებული ადამიანები.

ჯერ აკაკის საღღეგრძელოზე მიდგა.

თამადამ ახლაც განსხვავებული სასმისი მოითხოვა.

მოუტანეს, მაგრამ დაიწუნა, კიდევ მოუტანეს და კიდევ დაიწუნა, ბოლოს კედელზე დაკიდებულ ხის სათლს შეხედა და მოატანინა.

სამეგრელოში ხის სათლების დამზადებას ბევრი ვერ შეეცილება. აქ ხისგან ამზადებენ წყლის სასმელ ბურძგებს, ჩაყვებს, რძის ჩასასხმელ ბუყუნებს, აფშირხებს, ფქვილისა და სხვა პროდუქტებისათვის განკუთვნილ ჯამებს.

ბურძგი ხისაგან დამზადებული პატარა სათლია, შეიძლება ჩაის ჭიქაზე მეტი ჩავიღვლეს, ჩაყვა კი დიდია, ასე ერთ ლიტრიანი, შეიძლება ზოგჯერ მეტიც ჩაეტიოს. არა, ბურძგით არ იკადრებს აკაკის სადღეგრძელოს დალევას თამადა, ცხადია არც ჩაყვით. კედლიდან ჩამოხსნილი სათლი ბურძგაზე დიდი იყო და ჩაყვაზე ნაკლები.

არ მოეწონა ესეც.

— კულა მიაწოდეთ კულა! — დაიძახა ბვრიქიფეების გასაგონად იაკობ შანუამ.

კულა, ხის გრძელყელიანი და მრგვალ შეცლიანი სასმისი პირამდე გაავსეს ღვინით ბერიქიფეებმა.

აკაკის ძოაგონდა ეკატერინე ჭავჭავაძის ქორწილი, მართალია, აკაკი არ დასწრებია იმ სუფრას, მაგრამ მთელმა საქართველომ იცოდა ლევან დადიანის მიერ გამართული სუფრის ისტორია.

გულბათ ჭავჭავაძე დაათვრეს მაშინ მეგრელებმა ასეთი კულით, არც დღეს არ იქნებოდა აქ ნაკლები სმა და მთვრალთა რიცხვი. აკაკი, რა თქმა უნდა, ცოტას დალევს, შეუძლოდაა და არ გადატვირთავს ორგანიზმს, მაგრამ ვაი მისი ბრალი, ვინც ამ კულით შეეცდება სუფრის დამთავრებას.

თამადა ფეხზე დგას და სუფრის დაწყნარებას ელოდება.

აჰა, ჩამოვარდა სიჩუმე.

— ამ ჰატარა სასმისით ჩვენს სტუმარს გაუმარჯოს, ბატონ აკაკი წერეთელს, ვისი სიყვარულიც აქვს არა მარტო ამ სუფრის წევრებს, არამედ მთელს საქართველოს და განა მარტო საქართველოს?

— ჩვენ გვყავდა მწერალთა სასახელო პლეადა ცეტაველიდან დაწყებული და დამთავრებული რომანტიკოსებით, მათ შორს გაიტანეს საქართველოს სახელი, რუსთაველი ხომ იყო და არის მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალი, მაგრამ რანი ვიქნებოდით რომ არ გვყოლოდა გურამიშვილი, სულხან-საბა, რანი ვიქნებოდით რომ არ გვყავდეს ბატონი აკაკი, ილია, ვაჟა, აბაზეგი?

მოდით მართლაც ამ ჰატარა სასმისით იმ ძვირფას ადამიანს გაუმარჯოს ვინც თქვა:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,—
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი ჩამესახა...

ეს ადამიანი, საბედნიეროდ დღეს ჩვენს გვერდით ზის და ილხენს, ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე და შეძოქმედებით მუშაობაში გამარჯვება.

თამადამ დადიშქელიანებისკენ გაიხედა, ერთი სვანისჭედიანი ვაჟკაცი ამოირჩია და ცარიელი კულა გაუგზავნა. სვანი ადგა, კულა მოხერხებულად დაიკავა, აკაკის შეხედა და თქვა:

— „მიშქუ ლადეღ სი!“ (ჩემი დღე შენ გენაცვალეო), იცოცხლე მანამდის სანამ ცას შეჰყურებენ უშბა და შხარა, თეთნულდი და ენგური, ჩვენო საამაყო და სათაყვანებელო კაცო, სანამ ეს ენგური (სვანმა ენგურისკენ გაიშვირა მარცხენა მკლავი) არ დაშრება მანამ არ შემოლეოდეს თქვენს ნიჯს ლექსის წერის უნარი.

სვანმა აქ პაუზა გააკეთა, გვერდით მჯდარ სვანებს რაღაცა გადაულაპარაკა და მერმე კელავ აკაკისკენ მიბრუნდა.

„მიშქუ ლადეღ სი!“ ერთი სათხოვარი გვაქვს სვანებს, ეს სათხოვარი თქვენი ამობრძანებაა ზემო სვანეთში, სადაც თამარს უვლია ფეხშიშველა, სადაც განძს ინახავდა ქართველი კაცი, სადაც წმინდა გიორგი ცხოვრობს ზეცაში, სადაც კვირიკეს ეკლესია დგას ვითარცა სიწმინდე ერის, „მიშქუ ლადეღ, სი“, ეგ არის ჩვენი სათხოვარი, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ.

აკაკი ფეხზე წამოდგა, სვანს მადლობაც მოახსენა და სვანეთში წასვლაზეც დაუდო პირობა.

სვანმა კულა გამოცალა.

ჯერი აკაკიზე მიდგა.

მერიქიფეებმა კულა მიართვეს სტუმარს.

სუფრა სმენად იქცა აკაკიმ დაიწყო:

სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით
და ნეტარებას მიმრავკეცებს
მიდამო მისი მშვენიერებით.
ვიშ, ამ საღამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზაგებულსა!...

აკაკიმ აქ სიტყვა შეწყვიტა, ეს ლექსი ჯერ დაუმთავრებელი მაქვსო, თქვა და კაბკაბა მთვარეს შეხედა, მერმე მზერა სუფრაზე გადაიტანა და დაიწყო:

დედაშვილობამ ბევრს არ გოხოვ:
"შენს შიწას მიმაბარებ!
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

მოქეიფენი ფეხზე წამოდგნენ, მადლობა მოახსენეს მგოსანს, აკაკიმ ბოდიში მოიხადა, კულას ვერ გამოვცვლიო, ბრძანა, ღვინო პატარა ბურძგაში ჩაისხა და გამოცალა.

სუფრა გვიან დაიშალა.

აკაკი და მისი ამხანაგები იმ ღამეს ჯვარში დარჩნენ, მეორე დილას მსუბუქად ისაუზმეს, არემარე შეათვალიერეს და გზას დაბლა დაუყვნენ ენგურის დინების მიმართულებით.

ი. ბამსაზურდია.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „ოდიში“ № 118-ში.

სპორტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო „სადისციპლინო კოდექსი“, სადაც გათვალისწინებულია ფიფას და უეფას მიერ 1990 წლისათვის შემოღებული პრაქტიკულად ყველა წესი და მოთხოვნა. ამის გარდა, „სადისციპლინო კოდექსში“ არის ისეთი მუხლებიც, რომლებიც ახასიათებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობის თავისებურებებსაც.

„სადისციპლინო კოდექსმა“ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა კერძო პირისა და ორგანიზაციის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

გთავაზობთ ამონაწერს „სადისციპლინო კოდექსიდან:“

1. სანქცია სტადიონს, სადაც გაიმართა მატჩი.

თუ სტადიონი ვერ უზრუნველყოფს იმ პირობებისა და მოთხოვნების შესრულებას, რასაც ითვალისწინებს ჩემპიონატის არსებული დებულება, სტადიონის ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს წესრიგს მატჩის წინ, მატჩის მსვლელობისას და მატჩის შემდეგ, ასეთი შემთხვევების გამო სანქცია შემდეგნაირია:

ა) გაფრთხილება;

ბ) დისკვალიფიკაცია 10 თამაშამდე;

გ) ჯარიმა — 25000 მანეთამდე.

2. სანქცია კლუბის გულშემატკივრების საქციელის გამო.

თუ საფეხბურთო გუნდის გულშემატკივრები მატჩამდე, მატჩის დროს ან მატჩის შემდეგ უღირსად მოიქცევიან, შეურაცხყოფენ გუნდის ღირსებას, მათ საქციელზე პასუხს აგებს შესაბამისი საფეხბურთო კლუბი, რომელიც ჯარიმდება 5000 მანეთამდე.

თუ მატჩი ჩაიშლება სტუმართა გუნდის გულშემატკივართა გამო, მაშინ სტუმართა გუნდს ჩაეთვლება წაგება 0-3.

3. ზოგიერთი სხვა წესი:

1. კატეგორიულად აკრძალულია მსაჯთა ოთახში იმ პირთა შესვლა, რომლებსაც ამის უფლება არა აქვთ დებულების მიხედვით. ამ მუხლის დარღვევისათვის გათვალისწინებულია შემდეგი სანქციები:

ა) სტადიონის დისკვალიფიკაცია;

ბ) უულადი ჯარიმა 2000 მანეთი;

გ) კლუბის ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გადაყენების რეკომენდაცია;

დ) საკითხის დაყენება ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობის მიზანშეწონილობაზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული „სადისციპლინო-კოდექსი“ ძალაში შევიდა 1990 წლის 1 ოქტომბრიდან.

დავიცვათ „სადისციპლინო კოდექსი“!

რედაქციისაგან: არ არის დასაშალი (პირიქით, საგანგაშოა!) ის ფაქტი, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში გახშირდა უწესრიგობანი და ხულიგნური მოქმედება მეტოქე გუნდების ცალკეულ ფეხბურთელსა თუ სტადიონზე მოსულ მაყურებელთა მხრიდან. არასასურველი ემოციები, ექსცესები არც ისე იშვიათია ჩვენს სტადიონზეც, ხოლო რა შედეგები მოჰყვება მაყურებელთა უპასუხისმგებლო მოქმედებას — ეს მკაფიოდაა მოცემული „სადისციპლინო კოდექსში“.

იმედს ვიტოვებთ, რომ ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ოდიშის“ ჭეშმარიტი გულშემატკივრები დაკვირვებით გაეცნობიან ამ კოდექსს და სტადიონზე, მატჩის მსვლელობისას გაიხსენებენ მის მკაცრ სანქციებს, არავის მისცემენ უფლებას უდისციპლინობის გამო პრესტიჟი შეელახოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, დისკვალიფიკაცია მიეცეს სტადიონს, ფინანსურ კაბალაში აღმოჩნდეს საყვარელი საფეხბურთო კლუბი.

ყურადღება: ბავშვები!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ სახელმწიფოებში 1990 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო და 7 ოქტომბრამდე გაგრძელდება მოძრაობის უსაფრთხოების კვირეული. ამ საერთაშორისო აქციაში მონაწილეობს საქართველოც. გამომდინარე აქედან მოძრაობის უსაფრთხოების კვირეულის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ყველამ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნულ მუშაობას, რადგანაც 1 ოქტომბერს დაიწყო სკოლებში სწავლა, 1 ოქტომბრიდან ადგილობრივ მოსახლეობას რესპუბლიკური დათვალიერება „ყურადღება ბავშვები!“.

ლოხისძიებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა წარმოება-დაწესებულებამ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ სატრანსპორტო ორგანიზაციებმა და პირად მფლობელობაში მყოფი ტრანსპორტის მძღოლებმა.

ფრიდონ კიშაია,
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი.

რეკლიკა

რატომ დაკეტეს?

28 სექტემბერს, პარასკევს, 11 საათისთვის დაკეტილი იყო ბაზრის ტერიტორიაზე მოთავსებული თითქმის ყველა სამრეწველო საქონლის მაღაზია. (ქსოვილები — № 12, ჭურჭელი — № 54, წინდები — № 21, შეკერილები — № 42, სპორტული მაღაზია). რაც შეეხება ტრიკოტაჟის № 18 მაღაზიას მისი გამყიდველი შეყრილ ხალხს ეკამათებოდა, ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი დრო როგორც გვსურს ისე გამოვიყენოთო, აღსანიშნავია, რომ არ მუშაობდა ჩხოუბილის სახელობის მოთავსებული არც ერთი დახლი (კოოპერატივების გარდა) რატომ დაუკეტეს მშრომელ ხალხს მაღაზიები ბაზრობის დღეს? საკმარისი არ არის, რომ ისედაც ყველაფერს კერძო ფასებში ყიდიან?

ვთხოვთ აღნიშნული ობიექტების ხელმძღვანელებს პასუხი გაგვცენ დასმულ შეკითხვაზე.

ნ. კოდუა.

შინაგან საქმეთა საქალაქო - რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

ამა წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 23 საათზე, ქალაქ ზუგდიდში თავის საცხოვრებელ სახლში ოჯახური დავის დროს გადაკრილი სანადირო თოფიდან გასროლით რობინზონ ვაჟას ძე ლაგვილავამ სასიკვდილოდ დაჭრა თავისი ძმა, ვ. ლაგვილავა. მიღებული დაზიანებისაგან ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. ბოროტმოქმედი რ. ლაგვილავა, დაბადებული 1962 წელს, ადრე ნასამართლევი, ჩიტაძის ქუჩის მეოთხე შესახვევის № 12-ში მცხოვრები, დაკავებულ იქნა.

განცხადებები:

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს 16 საათზე ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე, ჩატარდება ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური — ზუგდიდის „ოდიში“ მასპინძლობს გორის „ დილას“.

ჩატარდება ერთგულების ლატარია, გათამაშდება ორი მსუბუქი ავტომობილი „ჟიგული“, იაპონური მაგნიტოფონი და ფულადი მოგებები.

ბილეთები გაიყიდება 3 ოქტომბრიდან სტადიონის სალაროებში.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“.

ბუნებრივი გაზით მოსარგებლე აბონენტთა საყურადღებოდ!

ტრესტ „ზუგდიდგაზის“ ადმინისტრაცია მოგმართავთ, ინდივიდუალურ გაზით გათბობ „ბზ“, „ოკგ 5“, „აგე“ ტიპის ხელსაწყოებით მოსარგებლე აბონენტებს, რომ გათბობის სეზონის დაწყებამდე აუცილებელია ჩაუტარდეს მათ ტექნიკური დათვალიერება და რემონტი. იმ აბონენტებს, რომელთაც არა აქვთ მოწყობილი გამთბობი ღუმელისათვის სათანადო პროექტში გათვალისწინებული ნორმების დაცვით და არ ექნებათ წარმოდგენილი საკვამლე და სავენტილაციო არხის გარგისიანობის აქტები, შეუწყდებათ გაზის მიწოდება.

საკვამლე და სავენტილაციო ჯახების გარგისიანობაზე აქტების გაცემას აწარმოებს ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოება ხელმძღვანელების გაფორმების შემდეგ. მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 29.

ტრესტის ადმინისტრაცია გთხოვთ გათბობის სეზონის დაწყებამდე მოიგვაროთ ზემოთ აღნიშნული საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში გათბობის მიწოდება არ ჩაირთვება.

ტრესტ „ზუგდიდგაზის“ ადმინისტრაცია.

ვიდრე გვიან არ არის

ქალაქის ტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით შემოსაველი გზა გაკეთდა, ეს ნამდვილად კარგი საქმეა, მაგრამ მთავარია, როგორია ეს გზა. შემოსავლელი გზის ის მონაკვეთი, რომელიც საწარმოო გაერთიანება „საქალალდმრეწვისაკენ“ მომავალი კიროვის ქუჩის ერთი მონაკვეთიდან იწყება, ძალზე მოუხერხებელია. გზა მეტად ვიწროა. ამ მაგისტრალზე მოძრავი ტრანსპორტის ასეთი მძლავრი ნაკადისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა შემოსაველი გზის ის მონაკვეთი, რომელიც გადის შენგელის, საბჭოს, კიროვისა და რუსთაველის ქუჩებზე. მათ არ გააჩნიათ შესაბამისი გაბარიტი, მოსახვევის რადიუსი, ტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილი და ფეხით მოსიარულეთა ზოლი, მანქანები სიჩქარის შეუზღუდავად დაქრიან ქუჩებში და ბავშვები ზედამხედველობის გარეშე ქუჩაში ვერ გაგვიშვია, რადგან საფრთხე ყოველ წუთს არის მოსალოდნელი.

ეყო შემთხვევა, როცა საბჭოსა და შენგელის ქუჩის გადაკვეთაზე მოხდა ავტოავარია, რა თქმა უნდა მიზეზი მძღოლის დაუდევრობა

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხოვრება.

მეუღლე შურა, შვილები ჯუმბერი, ოდო დადიანები ძღლები ბიბოზა კვირკველია, ხინო გვასალია, კუკუშა ფუტკარაძე. სიდედრი ლენა ქანთარია, სიძეები: ანზორი ქარდავა, ... ხარჩილავა ძვილიშვილები: ... ლა, ... მაია დადიანები, ... ეროვა ქარდავები, ... ილია შვილები: სალომე, თამუნა ... დადიანები. დები: ... ნიკოლა, ... ლისდები: ... ქორდიკო, ... ქანთარიები, ... ილია ... ეგეია, ... ფოთა მამფორია, ... ბისშვილები, ... ბიბაშვილები, ... ბაშვილები. ... ბაშვილები ... ნათესავები იუწყებიან

შალვა გიორგის ძე დადიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ოქტომბერს. დაკრძალვა 9 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდში, წერეთლის ქ. № 13-დან.

... ნათელა, სიძე ... შოთა ... ქია, შვილებით: ... ბო, ... ტე, ... ბა, ... ბა, ... ია იუწყებიან

გრიშა ესტატეს ძე სამუშიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 ოქტომბერს, დაკრძალვა 9 ოქტომბერს. სოფ. ლიაში (წალენჯიხის რაიონი).

... ნული და გელი სიჭინავები იუწყებიან სიძის

ინდიკო (ვაკო) ბესარიონის ძე ჭეიას

გარდაცვალებას.

... ლა ... ციური, მამა შოთა, ძმები: გელა, ... ნი, ... ბებიები ... ლიანა, ... ლუბა, მამიდა ... ლიანა, დეიდები: ... ნა, ... ბა, ... ბიძიები: ... ეტია, ... თი, ... ბერი, თენგიზი ... ოდაები, ... ემური ... ია, ... ეგო ... ბა, ... ბა, ... ბა ... ია, ... ბა, ... ბა, ... ბა